№ 78. 12 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1884 12 აპრილი, ხუთშაბათი. № 78.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ახირებული მსჯელობა.

თბილისი, 12 აპრილს.

მკითხველმა იცის, თუ რა სამწუხარო ამბავი მოხდა დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირას. სამსჯავრო პალატის კორიდორში თ. ვლ. სუმბათიშვილმა ესროლა რევოლვერი თ. ივანე მუხრან-ბატონს.

სამწუხარო ხვედრია ორივესთვის,— თ. ივანე მუხრან-ბატონისთვისაც და თ. ვლ. სუმბათაშვილისთვისაც. სამწუხაროა, მაგრამ ცარიელი მწუხარებით არა გამოვა-რა და თვით ადამიანის ბუნებაშივე ამ გვარს სამწუხარო მოვლენას მიზეზი უპოვნოს. მიზეზი, რასაკვირველია, რთულია და ბევრი მხოლოდ იმითი კმაყოფილდება, რომ ამ გვარ მიზეზად საზოგადო მიზეზებს ასახელებს. მაგრამ «საზოგადო მიზეზები» იმგვარი ცხვირსახოცია, რომელიც ყოველ-გვარს ცხვირს გამოადგება და განსაკუთრებით კი ვერც ერთს რიგიანს სამსახურს ვერ გაუწევს. ან რა გამოვა იმით, რომ ამ გვარი მოვლენა მარტო საზოგადო მიზეზებს გადავაბრალოთ და იმას დავეაბულდეთ!

თ. მუხრან-ბატონისა და თ. სუმბათაშვილის საქმეში უმთავრეს მიზეზად სასამართლოს წესების ნაკლულევანება უნდა დავასახელოთ. ყველასათვის აშკარაა, ვინც კი ჩვენს ცხოვრებას დაჰკვირვებია და ერთხელაც არის გაბმულა იმ გამოურკვეველ ქსელში, რომელსაც დავი-დარაბას ეძახიან, რომ ბევრი რამ ჩვენს კანონებში შესასწორებელი და ცხოვრებასთან შესაფერებელია....

ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ გვიკვირს, რომ **არ** არის აშკარა გაზეთის «ახალი მიმოხილვისათვის», რომელიც **93 №**-ში ზემოხსენებულ უსიამოვნო შემთხვევის გამო ამბობს, რომ სრულებით სასამართლოს წესებს არ უნდა დაბრალდეს ვლ. სუმბათიშვილის გაბოროტება და რევოლვერის სროლაო, რომ თ. მუხრან-ბატონი არავის არას ართმევს უკანონოდ და თუკი კანონი აძლევს მას მამულს და დავას აგებინებს, სჩანს, რომ მამული მისი ყოფილაო.

ჩვენ ხელი არა გვაქვს თ. მუხრან-ბატონის დავებთან და არც შევეხებით იმას, — იგებს თ. მუხრან-ბატონი დავებს, თუ აგებს; ეგ იმისი და იმის მოდავეთ საქმეა და არა გაზეთისა; ჩვენ გვინდა მხოლოდ მკითხველებს დავანახვოთ, თუ როგორ საბუთიანია შენიშვნა «ახალის მიმოხილვისა», რომლის რედაქტორად ირიცხება შესანიშნავი ნაფიცი ვექილი. ბ. სტეფანოვს, უეჭველია, ექნებოდა შემთხვევა დარწმუნებულიყო, რომ ხშირად, ძალიან ხშირად, მამული რჩება იმისთანას, რომელსაც შეუძლიან ცრუ-მოწმების შესყიდვა, მფლობელობის ტყუილი საბუთების შედგენა, გამოცდილი ადვოკატის დაჭერა, და ხელ მოკლე კაცს კი, რომელსაც არც ერთი შეუძლიან, არც მეორე, არც მესამე, ხშირად ერთმევა მამა-პაპითვე ნაკუთვნი უფრო მოხერხებულ მოპირდაპირეთაგან. საჭირო რომ იყოს, აქ დავასახელებდით იმისთანა მაგალითებს, როდესაც ორს ძმას სხვის მამული შუა გაეყოთ და ცრუ-მოწმების ჩვენებით გარს შემოეელოთ სასამართლოს პრისტავის თანადასწრებით, როდესაც სხვის მამულს მხოლოდ იმ საბუთით დაპატრონებოდენ, რომ ამა და ამდენის ხნის განმავლობაში ხეები, შეშა, ან ფიჩხი მაგ მამულში მეყარა და ამიტომ ჩემი საკუთრებაო, და ამგვარ ბოროტ-მომქმედთა წინააღმდეგ სასამართლო სრულიად ულონო გამომდგარა.

უეჭველია, ამ გვარი მაგალითები «ახალი მიმოხილვის» რედაქტორს ჩვენზედ მეტიც, და უკეთაც ეცოდინება, მაგრამ, თუ ამისთანა რამ წამოსცდა, რომ რაკი სასამართლო გადუწყვეტს ვისმე მამულს, სჩანს, იმისი საკუთრება უნდა იყოსო,— ალბად სხვა რაიმე განზრახვა ჰქონდა. იქნება, «ახალ მიმოხილვასა» ჭგონია, რომ ეხლა ისეთი დროა, როდესაც ახალი სამართლის ყოველიივე ნაკლულევანება უნდა დაიფაროს და სრული ძალ-ლონე მის მტრების წინააღმდეგ მიიმართოსო,—იქნება, მაგრამ, ჩვენის აზრით, თუ ახალი სამართლის ნაკლულევანება გამოაშკარავდება ამით საქმე თუ არ გაკეთდება, არ წახდება, რადგან ყოველის ნაკლულევანების აცილებით მოპირდაპირეთ ერთმევათ იარაღი ახალი სამართლის წინააღმდეგ გამოლაშკრებისა. პირ-მოთნეობა არც ერთ საქმეში არ ეარგა და მეტადრე საზოგადო საქმეში და თუ არ პირ-მოთნეობით სამართლის წინა-

«დროების» ფელეტონი, 12 აპრილი.

მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე.

(გაგრძელება *)

ამის შემდეგ გაცხოველდა და აფუფუნდა ქართველთა ბერების ცხოვრება ათონის მთაზე. მოიყარეს აქ მრავალთა წარჩინებულთა თავადთა და გლეხთა თავი და შეიმოსნენ ბეროების ხარისხით. მაგრამ ისრეთი სარჩოსაცხოვრებელი არა ჰქონდათ, რომ შესძლებოდათ კარგად ცხოვრება. დაიწყეს ცხოვრების სახსრად სარჩოს მოპოვებაზე ზრუნვა. საქართველოს ერის თანხმობით იოანე ივერიელმა დაუთმო ბერძნის ბერებს კოსტანტინეპოლსა და ტრაპიზონში მყოფი ქართველთ მონასტრები და მათ ნაცვლად ჩაიბარეს ათონის მთაზე მათგან შემდეგი მონასტრები: ლეონტისა, სოლუნისა, იოანე ქოლოვისა და ქლიმენტოსი. ვასილი იმპერატორმა მისცა ისინი მათის მამულებითა და შემოსავლით ქართველებს თორნიკე ბერის მიერ გაწეულ სამსახურისათვის.

ამავე დროს ხსენებულმა, დედით ქართველმა, ათანასე ათონელმა გარდასცა თავის მეგობარს იოანე ივერიელს ვასილი იმპერატორის სიგელი, (ხრისავული), რომელიც ქართველ ბერებს აძლევდა უფლებას ჰქონოდათ ზღვაში თავისი საკუთარი გემები მონასტრის სახელზე. დიდი შემწეობა მიუციათ ამავე დროს მათთვის აგრეთვე საქართველოს მეფეებს, თავადთ, მთავართ, წარჩინებულ პირთ, ქათალიკოზს, თავადთა ცოლთ, ასულთ და დედოფალთ. მაგალითად, მეფეს ბაგრატ მე-III-ს, ბაგრატ მე-IV-ს, ბიორგი მე-III-ს, თამარ მეფეს და სხვათა შეუწირავთ ათონის ივერიის მონასტრისათვის დიდ-ძალი მამულები: ზოგი საქართველოში, ზოგი უცხოქვეყნებში ნასყიდობით. მეფეებს გაუგზავნიათ მისთვის სამეფო ხაზინიდგან აგრეთვე ფულიც. ბერებს ამ ფულით უყიდნიათ ათონის მთაზე მონასტრის გარშემო მყოფი მიწა-წყლები, ზღვის პირად; შეუძენიათ ერისოში სახნავ-სათესი მიწები; ქალამარიაში მეტოქი; ფასოსის კუნძულზე ზეთის-ხილის ბაღი; ჰქონიათ მამულები ნასყიდობით აგრეთვე ქალაქებში: დემოტიხში და ადრიანოპოლში. ყველა ამ მამულებში ბერებს ზოგან თვითონვე ვენახები გაუშენებიათ, ზოგგან ბოსტნეულობა, ზოგგან ზეთის-ხილი; ზოგი მამულები კი იჯარით მიუციათ მცხოვრებლებისათვის სახნავად, ზოგი დაუტოვებიათ საბალახოდ, ცხვრებისა და საქონლის საძოვრად.

მაგრამ დიდებულთ და გამოჩენილთ პირთ: იოანეს, მეფთვიმეს, ზაბრიელს, თორნიკეს, იოანე ბრძელიძეს, მეფის ბაგრატ მე-III-ს შვილს ვასილს, არსენის, იოანე ხახულელს, ბიორგი მთაწმინდელს, ბიორგი ოლთისელს, პეტრეს და სხვათა მრავალთა იმდენი ქართველი მიუზიდავთ ათონის მთაზე, რომ ხსენებული მამულების შემოსავალი კიდევ არა ჰყოფნიათ. ამ მიზეზისა გამო საქართველოს თავად-აზნაურთ, მთავრებს და ერისთვებს უყიდნიათ მათთვის საცხოვრებლად კიდევ მამულები და მიწები: ვალახიაში, მოლდავიაში და მაკედონიაში. ორს პირველს ქვეყანაში ბერებს აუშენებიათ კიდევ მონასტრები, რომ აქ მცხოვრებ ბერებს თვალ-ყური დაეჭირათ მამულების შემოსავალზე. ერთს ამათგანს ჰქვიან სამების მონასტერი. ეს ორივ მონასტერი დღემდე ივერიის ქართველთ მონასტერს **15000** მანეთს შემოსავალს აძლევენ. ამათვე მამულში ითხრება მარილიცა. მაკედონიაში ჰქონია მონასტერს ორი მამული. ერთსა ჰქვიან სახელად «ფირლუდია», მეორეს «ხალანდარია»; მაგრამ ესენი ამ ჟამად მონასტერს აღარ ეკუთვნიან. ოსმალეთის მთავრობას ჩამოურთმევია მისთვის ბერძნების დაუდევრობის მიზეზით.

რადგან ამოდენა მონასტრის მამულებს კარგი მოვლა და თვალ-ყურის გდება ესაჭიროებოდა და ბერები ყველას ვერა სწვდებოდენ, ამისჯთვის საქართველოს მეფეებმა მე-XII საუკუნეში გადაასახლეს მონასტრის მამულში, რომელიც მას ჰქონდა ერისოში, 40 კომლი გლეხი ქართველი. აქვე სახლებულან აგრეთვე **40** კომლი ბოლგარები, მონასტრის ყმანიენი. ამათ გარდა ყოფილან კიდევ სხვანიც, რომელნიც მდგარან მონასტრის მამულზე და **29** წლის განმავლობაში უძლეევიათ ხარკად წელიწადში **100** ოქრო.

ქართველ გლეხებს აქ გაუშენებიათ ვენახები და ბაღები; აგრეთვე უხვნავთ და უთესიათ; ჰყოლიათ ცხვრის ფარები, ვირები და ჯორები. შემოსავლიდგან თავიანთი ოჯახობაც უცხოვრებიათ და ბერებისათვისაც უძლეევიათ საზრდო. ამ გლეხების შთამომავალნი დღესაც იქვე სცხოვრებენ; ახსოვთ თავიანთი ქართული ჩამამავლობა, მაგრამ ქართული ლაპარაკი აღარ იციან. მათ ჰყოლიათ თავიანთი ეპისკოპოსი და მღვდელი ქართველთაგანვე. ეპისკოპოსი, ჩამამავლობით ქართველი, იმათ ჰყოლიათ მე XIII საუკუნეშიაცა. ასე ამბობს პლ. ოსელიანი თავის თხზულებაში სახელად: «Родъ князей Чолакаевыхъ и св. мученикъ Бидзина». ქართველნი სახლებულან აგრეთვე იერუსალიმის ქართველთ ჯვარის მონასტრის მახლობლადაც. ამათაც ქართული აღარ იციან, მაგრამ თავიანთი ჩამამავლობა უწყიან. ისინი ახლა ლაპარაკობენ არაბულად.

ერისოში მონასტერს ჰქონია გამართული აგრეთვე სკოლაცა. ის იყო დაფუძნებული ქართველთ გლეხთა

*) იხ. «დროება». № 7[illegible].

შე, სხვა გზით ვერ აგვიხსნია «ახალი-მიმოხილვის» სიტყვები, რაკი სამართალი კაცს მამულს აძლევს, სჩანს, ნამდვილადაც იმისი უნდა იყოსო.

შინაური ქრონიკა

≈≈ თბილისს ახლო, ნავთლუღს ქვევით, არის ერთი ადგილი, სადაც ნავთის წყაროებია. ამ ნავთის წყაროებზედ ამას წინად ბევრი ლაპარაკი იყო როგორც გაზეთებში, ისე ქალაქის საბჭოში, მაგრამ დღემდის არა გადაწყვეტილა-რა. თუმცა ეს წყაროები ქალაქის ადგილზეა, მაგრამ ქალაქმა ვერ იკისრა ამ საქმის მოთავობა და გამოაცხადა კი, რომ ვინც ამ საქმეს იკისრებს და ნავთის წარმოებას ჯეროვან საფუძველზედ დაამყარებს, იმას ორი დესიატინა მიეცემა ამ ნავთიანი მიწისაო. ამ დღეებში ეს ნავთის წყაროები გაუსინჯავს ერთს ინჟინერს და უთქვამს, რომ გადაწყვეტით არ შეიძლება კაცმა ამ ნავთის წყაროების ღირსება დააფასოს და სთქვას, რომ სასარგებლო იქნება მათი შემუშავება, თუ არაო. ამის გამოსარკვევად საჭირო იქნება სამას-ოთხასი თუმანიო, ახლა, როგორც შევიტყეთ, რამდენსამე ფულიანს კაცს უნდა ეს ფული შეჰკრიფონ და ამ საქმეს შეუდგნენ.

≈≈ ძუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ მ. ი. ბა—ელისათვის საჯაროდ ჩამოუხსნიათ მისი ღირსება და თანამდებობიდამ გადაუყენებიათ.

≈≈ აღდგომა გათავდა. ხალხმა, როგორც იყო, მიაკიბ-მოაკიბა ორიოდ მანათი; ყველამ იყიდა პასქა, ბატკანი, წითელი კვერცხები სახსნილოს გემოს გასაღებად, მაგრამ ჩვენ, რომ ნახევარი ამ სააღდგომო ულუფისა სადღაც გაჰქრა კვირას შუაღამისას და ჩვენ კი ნახევარ ულუფის ინაბრას დავრჩითო. ბარემოება რომ ნებას გვაძლევდეს, აქ მოვიყვანდით ერთს თითქო სახუმარს, მაგრამ ნამდვილს წერილს კი, რომლის ავტორი ურიგდება ამ ულუფის განახევრებას, მაგრამ იმასა სჩივის, რომ «რაც დუმიანი მხარე იყო ბატკნისა, სულ იმათ წაელოთ და ცარიელი გამხმარი თავი კი ჩვენთვის ებოძებინათო».

≈≈ აღდგომა დღეს, დილით, თბილისიდამ გასულს მატარებელს უბედური შემთხვევა დაემართა. სურამს, და ფონს შუა უკან მოქცეულმა ლოკომოტივმა მეტის-მეტი ძალა დაატანა წინა ვაგონებს და ერთმანეთს მიაჯახა. ორი ვაგონი ძალიან დაზიანდა და 10 კაცი მსუბუქად დაიჭრა.

≈≈ ბორიდამ გვწერენ, რომ ბ. გუბერნატორის განკარგულებით ნება მისცემია ხალხს ბორის ახალს რკინის ხიდზედ იაროს როგორც ქვევითი, ისე ცხენით, ურმით, ფაეტონებით და სხვა ეკიპაჟებით.

≈≈ ბუშინ, 11-ს აპრილს, მოხდა წლიური კრება კავკაზიის საექიმო საზოგადოებისა.

≈≈ მინისტრთა კომიტეტში განუხილავთ აზრი გზათა მინისტრისა შესახებ ახალი რკინის-გზების გაყვანისა. მინისტრის აზრით, მომავალი სამი წლის განმავლობაში უნდა გაყვანილ იქმნას, სხვათა შორის, ნოვოროსიისკის გზა სიგძით 265 ვერსტი და გზა კავკავსა და პეტროვსკს შორის, სიგძით 282 ვერსტი. მინისტრთა კომიტეტს საჭიროდ უცვნია, რომ ყველაზედ უწინ გაყვანილ იქმნას ციმბირის რკინის-გზა, რადგან მას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სხვა გზათა შორის.

≈≈ «ნოვოე ვრემიასა» სწერენ, რომ ბათუმი საჩქაროდ შენდება. მცხოვრებლების რიცხვმა 8000-დამ 1000-მდე აიწია, მაგრამ უსამუშაოდ არავინა რჩება და საშენებელი მასალაც უხვია. 1883 წლის განმავლობაში ბათუმის ნავთსადგურიდამ გაიგზავნა 1,033,000 ფუთი კეროსინი და 600,000 ფუთი სხვა საქონელი.

≈≈ თბილისიდგან სწერენ გაზ. «რუსკი კურიერს»: «თბილისის გუბერნიის და მაზრის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან ძალიან ცუდი ამბები მოდის საქონლის ჭირის შესახებ. აქამდის არ გამოუკვლევიათ, რა ავადმყოფობა არის ესა, ჯერ არც ერთი ჭირისგან მკვდარი პირუტყვი არ გაუჭრიათ და ანატომიურად არ გაუსინჯავთ, მაგრამ შენიშნულია, რომ ეს სატკივარი ბატკნებს უფრო აზარალებს, ვიდრე ცხვრებსა. თბილისში ამ ჟამად ძლიერ ცოტა ბატკნებია, თუმცა კი დროა, რომ ბაზარში მოუდიოდეთ ისინი გასაყიდავად. ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ ცხვრის ფარას 800 სულ ბატკანში 600 დაჰკლებოდეს! 60—70% დაკლება ხომ ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ აქა.

≈≈ ამავე გაზეთს ბათუმიდგანა სწერენ: «კეროსინის სამზღვარ-გარედ გატანა თითქმის სრულიად შესწყდა; მაგრამ რუსეთის ნავთსნობის და ვაჭრობის საზოგადოებამ, როცა კარგი დრო ჰქონდა, მოასწრო თავის ცეცხლის გემებით ნახევარ მილიონი ფუთის გატანა; გატანის ჭირას მეტისმეტად ბევრს (25 კაპ. ფუთზე) ილებდა ამით ბლომად ფულები შეიძინა. ბოლოს, როდესაც მოქიშპედ გამოუჩნდენ რუსეთის იალქნიანი გემები და პეტერბურგის კომპანიის ცეცხლის გემი «პეტრე დიდი», რუსეთის საზოგადოებამ ერთბაშად დასწია ფასი 11-12 კ.-მდინ. რომ შეეტყოთ, თუ როგორ დიდია ეს ფასი—25 კაპ. ფუთზე—საკმაოა შევნიშნოთ, რომ ბაქოში კეროსინი ღირს ამაზედ ორ ჯერ ნაკლებ ფასად.

«დროების» კორესპონდენცია.

ს. მაღარო. ჩვენი სოფლის გლეხებს ძალიან გაუჭირდათ საქმე მალაკნებისაგან, რომელნიცა ცხოვრობენ აქვე ახლო თავიანთ სოფელში, სახელად ახალი ალექსანდროვკა. საქმე ის არის, რომ ეს მალაკნები დასახლებულან მაღაროსთან ამ

შვილების გასაწრთვნელად და გასანათლებლად. აქვე ყოფილა მათთვის აშენებული ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზე. 1063 წელს ათონის მთიდგან მოვიდა საქართველოს ბიორგი მთაწმინდელი, დარჩა აქ 4 წელიწადი და წაიყვანა ამ სკოლაში ალსაზრდელად 80 ქართველი ყმაწვილი. ბევრნი ამათგანნი, განათლების მიღების შემდეგ, მოვიდენ საქართველოს და თვალ-საჩინო სარგებლობა მოუტანეს ქვეყანას ხალხში ზნეობის გამაუკეთესებელი სწავლის გავრცელებით.

ამ გვარად საქმის დაყენებისათვის ქართველმა ბერებმა დიდ-ძალი ფული დახარჯეს დიდი შრომა, და წვალება გასწიეს მონასტრების გაკეთებაზე, მათს გამშვენიერებაზე და შენახვაზე. მონასტერი ისეთს აღყვაებულ მდგომარეობაში იყო, რომ შურით სავსე ბერძნის ბერებმა ბევრჯელ მოიწადინეს ქართველთათვის მისი ჩამორთმევა და მისი მამულების მდიდარი შემოსავლით სარგებლობა. ჩხუბი და დავა სამართლამდე მისულა, მაგრამ ქართველებს ყოველთვის გაუმარჯვნიათ. პირველად ასტეხეს ბერძნის ბერებმა 1041 წელს. მაგრამ დიდ-მცოდნემ და განვითარებულმა არსენმა რამდენიმე მოხუცი ბერი თან-გაიყოლა, მივიდა ძოსტანტინეპოლს და იჩივლა იმპერატორთან. ამავე დროს იმათ იჩივლეს საქართველოს მეფესთანაც და სთხოვეს მფარველობა. იმპერატორმა მიხეილ მე IV-მ პაფლაღონმა თვითონვე გაარჩია საჩივარი, იცნო ქართველთ სიმართლე და დაუმტკიცა მათ მონასტრებიცა და მამულებიც, როგორც მათი მამა-პაპის საკუთრება.

მაგრამ, საუბედუროდ, ამავე წელს დაარღვიეს ათონის მთის მყუდრო ცხოვრება ზღვის მეკობრებმა-არაბებმა. ისინი იკლებდენ და არბევდენ მცირე აზიაში ზღვის ნაპირის მცხოვრებლებს და ამ დროს მოადგნენ ათონსაც, აიკლეს და დაანგრიეს მრავალნი მცირენი და დიდნი უდაბნონი, და მრავალნი ბერნი აწვალეს და სტანჯეს. ბოლი რომ მოიოხეს ქრისტიანული სალოცავების აკლებით, მალე გაეცალნენ ათონის მთას და ბერებმა დაიწყეს ჩვეულებრივი ცხოვრება. ბერძნის ბერებს ამ აკლებისა გამო საზრდო შემოაკლდათ და ქართველმა ბერებმა არ მოიხსენიეს მათი ავკაცობა და შემწეობა მისცეს პურით, ზეთით და ღვინით.

შესანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიცა, რომ ალექსი ქომნინის მეფობის დროს 1081 წლიდგან 1118 წლამდე ბერძნის მონასტრები დაცარიელდენ, როგორც სწერს პორფირი უსპენსკი, «მავთვალა ელახეთის მანდილოსნების ალერსისა გამო». ქართველი ბერები კი მოერიდენ ამ საზრახისს ქცევას და სცხოვრებდენ მშვიდობიანად თავიანთ მონასტრებში. ამას ასე ამტკიცებენ არხივში მყოფი მონასტრის მატიანენი 1099, 1104 და 1112 წლებისა. ამ დროს ქართველთ წინამძღვრად იყო მიხეილ, გვარად ქართველი. ამ ბერის ჩაგონებით ქართველნი ურთიერთ შორისაც მშვიდობიანად სცხოვრებდენ არც სხვას ვისმე ეჭიშპებოდენ და ეჩხუბებოდენ. იმათ უყვარდათ განურჩევლად ყველანი: ბერძენნიც, რომაელნიც და სხვანიც, ვითარცა ქრისტეს მიერ ქმანი; მაგრამ ბერძნის ბერებს კი არ უყვარდათ ქართველები; გადაემტერენენ და ყოველ გვარს ღონის-ძიებას ჰხმაროობდენ, რომ ჩამოერთოთ ათონის მთის მონასტრები. ბარდაიცვალა თუ არა იმპერატორი მიხეილ მა-IV პაფლაღონი, რომელმაც 1041 წელს დაუმტკიცა ქართველთ მონასტერი ივერიის ღვთის-მშობლისა თავის მამულებით, ბერძნის ბერებმა კიდევ ასტეხეს დავა და საჩივარი. ამ დროს იმპერატორად იყო მიხეილ მე-V პალეოლოღი, ქართველთ მონასტრების წინამძღვრად სიმეონი ქართველი, საქართველოს მეფედ ბაგრატ მე-IV. ქართველმა ბერებმა კიდევ იგივე არსენი ამოირჩიეს თავიანთ უფლების მცველად, გაატანეს თან რამდენიმე გამოცდილი მონაზონი და გაგზავნეს ძოსტანტინეპოლს; ეს ამბავი შეატყობინეს საქართველოს მეფეს ბაგრატსაც და სთხოვეს შემწეობა და მფარველობა წინაშე იმპერატორისა. იმპერატორი თვითონვე შეუდგა საქმის გარჩევას. დაიბარეს ათონის მთიდამ ბერძნის ბერებიცა და სხვანი მცოდნე პირნიც. ქართველებმა ხელ-მეორედ მოიგეს საქმე. იმპერატორმა არამცთუ დაუბრუნა იმათ წართმეულნი მონასტერნი და მამულნი, არამედ დაუმტკიცა კიდეცა სიგელითი, რომელსაც დასვა სახემწიფო ბეჭედი. 1744 წელს ის უნახავს რუსეთის მლოცავს ბარსკისაც. ის ამბობს, რომ გრამატას ზედ ასვია მრავალი ბეჭდებიო, რომელთა შორის უპირველესნი ოქროს ბეჭდები არიანო, და შიგა სწერიაო, რომ ივერიის მონასტერი ქართველების საკუთრება არისო, და ამისთვის ქართველნი უნდა ჰფლობდენ ამიერიდგან უკუნისამდეო.

საჩივრების ასე კეთილად გათავების შემდეგ შეიყარნენ ქართველი ბერები ათონის მთაზე, მოილაპარაკეს, არჩიეს, გადასწყვიტეს და ფიცით ერთმანეთს აკისრეს, რომ ამიერიდგან არც ერთს ქართველს არ შეეძლოს მონასტრის რომელიმე ქონების დაჩემება და გაყიდვა; ხოლო ვინც გაბედავს ამ განჩინების დარღვევას, იგი იყოს წყეული ღვთისაგან და განდეგილი წმიდისა ეკლესიისაგანაო. ასე მოიქცნენ, ამისათვის რომ ზოგიერთ ქართველთ ბერძნების მხარე ეჭირათ შიშისა გამო.

ამის შემდეგ, 1283 წელს დაუმტკიცებია მონასტრისათვის სიგელით აგრეთვე იმპერატორს ანდრონიკეს ყველა ის მამულები, რომელნიც ჰქონია ივერიის ღვთის-მშობლის ხატს სხვა-და-სხვა მხარეს და ადგილას.

(შემდეგი იქნება)

ოც-და-ათი წლის წინ. მალაროს მაშინ ჰქონდა უშველებელი მიწები, რომელნიც იყვნენ სოფლის საზოგადო მფლობელობაში. მთავრობის განკარგულებით, ეს მიწები გაჰყვეს შუაზე და უკეთესი ადგილი მიუზომეს მალოკნებს, რადგან ისინი ახალი ჩამოსულები იყვნენ. მალაროელებს სახნავ-სათესი მინდვრები ძალიან დაშორდენ. თითქმის **20-25** ვერსტზე მოუვიდა მინდვრები, რომლებზედაც უწინ ინახავდა საქონელს, ცხვარსა და ძროხას. რადგან საძოვარი ადგილები მალაროელებს უნდა სახნავად გადაექციათ, ამიტომ საძოვარი მოედნები შემოკლდენ. ამან იმოქმედა მალაროელების ცხვრისა და ძროხის მოშენების შემოკლებაზე...

მალარო, ერთხელ დიდი და შეძლებული სოფელი იყო, სადაც ირიცხებოდა თითქმის **600** კომლი გლეხობა და სადაც ვერ შეხვდებოდით ერთს მშიერს სახლობა...

როგორც ზევითა ვთქვით, მალოკნები ძალიან სარგებლობენ. ამ 30 წლის წინედ მალოკნების სოფელი დაშორებული იყო მალაროს კალოებიდამ ორ ვერსტზე, დღეს კი ისე მოეტკეცა ამ კალოებს, რომ შუაზე ალარავითარი მიჯნა ალარ არის. უწინ ამ ორ სოფელს შუა ჰნახავდით მშვენიერს ვენახებს, სადაც ღვინო იმოდენი მოდიოდა, რომ თითქმის ნახევარი კიდეც იყიდებოდა გარეშე ხალხზე. დღეს კი მალარო თითქმის სულ სხვა სოფლებში ყიდულობს თავის საჭიროების დასაკმაყოფილებელ ღვინოს...

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

7 აპრილს.

პეტერბურგი. ხმებია, რომ ამ დღეებში წარადგენენ სახელმწიფო რჩევაში პროექტს, რომელიც შეეხება ურთიერთობრივი საადგილ-მამულო კრედიტის წესდების ზოგიერთა ნაწილების შეცვლას. პროექტს საგნად ისა აქვს, რომ გააიაფოს კრედიტი, შეამციროს სარგებელი და ზარალი სათადარიგო თანხას მიაწეროს.

გენერალი კამაროვის ტელეგრამა, რომელიც 22 მარტს მოვიდა ასხაბადიდგან, იუწყება, რომ 21 მარტს მერვიდგან წავიდენ სავაჭრო ქარავანები ბუხარაში, ხივაში და მეშხეთში. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იყიდეს 70 ფუთი თესლი ამერიკული ბამბისა; რუსეთის ქარავანიც, რომელიც დატვირთულია კოშინების მანუფაქტურული საქონლით, ბუხარაში წავიდა. საქონლის წაღებაში ძლიერ დიდ ფასს იღებენ.

დეპარტამენტი გარდუწყვეტელთა გადასახადთა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ნება დართულია თბილისის ქალაქის კრედიტის საზოგადოების ობლიგაციების გირაოდ მიღებათბილისის გუბერნიაში ღვინის აქციზში; გირაოდ იღებენ 100 მანეთიან ობლიგაციას 60 მანეთად.

კონსტანტინოპოლე. სულთანმა უბოძა ავსტრიის მემკვიდრე პრინცს ორდენი ოსმანლიე და იმის მეუღლესაც შეფოკატის ორდენი, ბრილიანტებით შემკული.

პარიჟი. ახალმა რუსეთის ელჩმა მორენგეიმ ჩააბარა რესპუბლიკის პრეზიდენტს თავის გრამოტები და უთხრა: „ჩემი ერთად-ერთი სურვილი ის არის, რომ არ ავცდე იმ გზას, რომელსაც ჩემი წინა-მოადგილე ადგა; ის საქმე, რომელიც მე ვიკისრე, სრულიად ეთანხმება ჩემ პირად გრძნობებს და იმედი მაქვს, რომ მას მე რიგიანად შევასრულებ საფრანგეთის მმართებლობის დახმარებით. გრევიმ დაარწმუნა მორენგეიმი, რომ ამისთანა წადილის გამო ის უნდა მოელოდეს საფრანგეთის მმართებლობის მხრივ სრულ პატივისცემას და დახმარებას.

8 აპრილს.

პეტერბურგი. გუშინ მათი იმპერატორებითი დიდებულებანი გადმობძანდენ გატჩინოდგან პეტერბურგში.

ვენა, ავსტრიის იმპერატორის ბძანებით ბოსნიის მართმადიდებელი მცხოვრებლები განთავისუფლდენ საეკლესიო გარდასახადისაგან, რომელსაც ეწოდება ვლადიკარინა„.

ალექსანდრია. სანიტარულმა კომისიამ დაადგინა: ძლიერი კარანტინი იმ გემებისთვის, რომელნიც კალკუტიდგან მოდიან, და რვა-დღიურიც იმ გემებისათვის, რომლებზედაც ხოლერით ავადგახდომის შემთხვევა ყოფილა; იმ გემების შესახებაც, რომელნიც სუეზის არხზე დაიარებიან, სასტიკს საკარანტინო ზომებს მიიღებენ.

9 მარტს.

როსტოვი-დონზე. შვიდი კაცის მკვლელნი, რომელთაც ბატაისკში ეკლესია გაცარცვეს, დაიჭირეს და მკვლელობაში გამოტყდენ; ეკლესიიდგან წაღებული ნივთები იპოვნეს.

პარიჟი. ტონკინში წვიმები დაიწყო; ომი შეჩერებულია.

კაირი. ცუდი ამბები მოდის აჯანყების ადგილიდგან; შენდიდგან ბერბერში გაქცეულთ ქარავანს აჯანყებულები გზაში დასწევიან და სულ ერთიანად ამოუჟლეტიათ; ბერბერის მცხოვრებლები გაბრაზებულნი არიან; ჰფიქრობენ, რომ ამ დღეებში მტერი სრულიად შემოეზღუდავს ქალაქს; ინგლისის გენერალური ელჩი ბერინგი ლონდონში მიდის

ბუხარესტი. გუშინ, წარმოდგენის დროს, ჩამოწვა ცირკის სიდოლის ბანი, რის გამოც ცირკს ცეცხლი გაუჩნდა; ხუთი კაცი მოკვდა და ბევრი დაიჭრა.

ლონდონი. დიდ სახელმწიფოთ იწვევენ კონფერენციაზედ ეგვიპტის ფინანსური მდგომარეობის გასასწორებლად.

კაირი. შენდიდგან მიმავალი ცეცხლის გემი, რომელზედაც 300 გაქცეული მცხოვრები იჯდა, ნილოსზე დაიღუპა; მგზავრნი და ეკიპაჟი სულ ერთიანად გაწყვიტეს აჯანყებლებმა.

ლონდონი. გუშინ საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა გამოაცხადა, რომ გორდონს მტერი გარს შემორტყმია, მაგრამ სურსათი ბევრი აქვს და, მაშასადამე, ჯერ-ჯერობით მას საშიშროება არ მოელისო.

10 აპრილს.

პეტერბურგი. დღეს შუა-დღის შემდეგ 4 საათზე მოვიდა აქ დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს-ძის საცოლო საქსენ-ალტენბურგის პრინცესა ელისაბედი; ვოგზალზე მიეგებნენ მას მათი იმპერატორებითი დიდებულებანი და ყოველნი წევრნი იმპერატორის გვარეულობისა, სასახლის წარჩინებულნი და ზოგიერთა ელჩნი; მანდილოსანნი ბევრნი იყვნენ; საპატიო დარაჯად იყვნენ იზმაილის პოლკის ბათალიონი დროშით და მისი დიდებულების კონვოი. როდესაც მატარებელი მოვიდა, მუზიკამ პრუსიული საგალობელი დაუკრა და ამ დროს მათი დიდებულებანი ვაგონში შებძანდენ; დიდმა მთავარმა დიმიტრი კონსტანტინეს-ძემ ძმის საცოლოს თაიგული მიართვა. როდესაც უმაღლესნი სტუმარნი ვაგონიდგან გამოვიდენ, ვოგზალის იმპერატორის ოთახებში მიულოცეს პრინცესას; ვოგზალიდგან უმაღლესი საცოლო და ხელმწიფე იმპერატრიცა ერთად წავიდენ საპარადო კარეტით, რომელსაც მრავალი ეტლი და ხალხი მისდევდა.

დღეს უმაღლესი საცოლოს მოსვლის გამო მარმარილოს სასახლეში საოჯახო სადილი იყო გამართული.

კაირი გრაჰამი ლონდონში წავიდა. გორდონმა ბერინგს გამოუგზავნა ტელეგრამა, რომელშიაც დიდს სამდურავს უცხადებს; გორდონი იმუქრება, რომ მოვსპობ ყოველსავე კავშირს იმათთან, ვინც დამტოვა ასე შეუწევნელად და ვინც არის მიზეზი სუდანში წასვლის დვრისაო.

ლონდონი. დღეს დილით იპსვიჩში და ზოგიერთა სხვა ადგილებშიც მიწის-ძვრა მოხდა; კალჩესტერში ყველა სახლები ინძრეოდენ; ბევრი სახლის საკომლეები და სამრეკლო 150 ფუტის სიმაღლისა დაინგრნენ; უბედურება არა მომხდარა-რა, მიწის-ძვრამ 30 წამს გასტანა.

შანხაი. პრინც კუნგზე ხელმწიფის განწყრომა და იმის მაგივრად ჩუნგის დანიშვნა აღტაცებით მიიღეს ჩინელებმა, რომელთაც ეს დანიშვნა ომიანობის ნიშნად მიაჩნიათ; ჩინეთის ნაპირებს ამაგრებენ.

11 აპრილს.

პეტერბურგი. ქორწინება დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტ. ძისა პრინცესა ელისაბედთან დანიშნულია 15 აპრილისათვის ზამთრის სასახლეში, სადაც დაქორწინების შემდეგ იქნება საპარადო სადილი და ბალი. ბალის შემდეგ მათი იმპერატორებითი დიდებულებანი ახლად ჯვარ-დაწერილებთან ერთად მარმარილოს სასახლეში წაბძანდებიან.

ფინანსთა სამინისტრომ დანიშნა კომისია, რომელმაც ცენტრალურ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობასთან და აქციონერების დეპუტატებთან ერთად უნდა განიხილოს ის საშუალება, რა საშუალებითაც შეიძლება ამ დაწესებულების მოქმედების გაცხოველება და გაეხსნებათ აქციონერებს წყარო დივალენდისმიღებისა.

პრაპორშჩიკმა სულთანოვმა ოთხს დღესა და ღამეს მარტომ ფორმის ტანისამოსში და უკონვოიოდ გაიძრა გზა მერვსა და ბუხარას შუა. გზა საძნელოა და მიდის ქვიშიანს უდაბნოზედ ორ ალაგას ას-ას ვერსზედ გზა სრულებით უწყლოა. ეს ფაქტი ამტკიცებს რომ შუა-აზიაში მშვიდობიანობა დამყარდა.

პარიჟი. შესახებ ეგვიპტის სახელმწიფო ვალისა საფრანგეთსა და ინგლისს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ოფიციოზური გაზეთი «ტანი» ამბობს: თუ დავეთანხმებით რომ ეგვიპტის ვალის გარანტია ინგლისმა მიიღოს, ამით ნიადაგს მოვამზადებთ, რათა ეგვიპტე ინგლისის სამფლობელო შეიქმნესო.

«დროების» ფოსტა.

ბ-ნს პოლიციის პრისტავს ჩიგოვიძეს. თქვენს პასუხს ვერ დავბეჭდავთ 29 მუხლის საფუძვლით ბეჭდვის შესახებ კანონთა კრებულ სა (Сборникъ узаконеній и распоряженій правительства по дѣламъ печати).

ბიბლიოთეკა

განცხადებანი

თბილისის თეატრი

ხუთშაბათს, 12 აპრილს 1884 წ.

სალამოს 8 საათზედ.

აქ მოსულმა მოულის კვრობისაგან ცნობილმა გამოჩენილმა ბრესტიდი გიტარორი და სპირტი. წევრი ხელოვნების აკადემიისა ვენაში ბრიტანელი

ლეონ ჰევზენერი

გამართავს დიდს საგანგებო სპირიტიულ წარმოდგენას და

სამედიცინო საღამოს.

პროგრამა სამს განყოფილებაშია, რომელშიაც იქნება ჯერ აქ უნახავი მაგიკო ფიზიკური გამოცდილებანი და სანსები სპირიტიზმებისა და სამედიცინო გამოცხადებათა.

ფასი ისეთივე, როგორც დრამატიულ წარმოდგენებში. დაწვრილებით აფიშებშია. (2—1)

„ამერიკანკა"

სატვლების გასარეცხი იარაღი. ამ იარაღის საშუალებით გარეცხილი სატვლები ბევრნაირ ინახება, რადგანაც ტილო ტილოზე არ ეხახუნება, რისგანაც ჩვეულებრივი რეცხით გამზადებული სატვლები წყალდება და იგლეჯება ხოლმე. ერთი ამორეცხით სატვლები სუფთავდება და ამისთვისაც ცოტა სპონი და შეშა უნდება. მეშაობა მეტად საადვილოდ და სიჩქარეა, ისე რომ სამჯერ ნაკლები მრეცხველები უნდება. იარაღი არ არის რთული და ძალიან მკვიდრია. ერთნაირად სასარგებლოა როგორც პატარა და დიდ ოჯახობაში, ისე სარეცხის ქარხნებში. დარიგება დაწვრილებითი. იწვევენ აგენტებს. იარაღის გაგზავნით ფასი 5 მან. ადრესი: რუსულ დამზღვეველ საზოგადოების აგენტს, ვ. შლემენზონს, სიმფეროპოლში.

თბილისში ამ იარაღის შეკვეთა შეიძლება შაკარდოვის საგენტოში. (3—1)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი				მოსკოვის ჩაის
	1 ₾. 10 კ.			1 ₾. 40 კ.
—	— 1—20	—	—	1—60
—	— 1—40	—	—	1—80
—	— 1—60	—	—	2— „
—	— 1—80	—	—	2—50
სუფთა	2— „	—	—	3— „

აქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაკოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ უფალაფური 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარეკან 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—10)



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და უკეთესად ხმარებული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნოოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფესვის თიოუბს შუა,

გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება ათეთიაქებში და ათეთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის უკეთესად ქალაქებში, მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარპინსკის ათეთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარპინსკი. (10—4)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, იდვრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ბირისსაბანი, სტაქნები, სუფოენიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩილის საფსკვები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხალისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაბსიულები, საფანტები, ნიჩბები, ვატერბრუტები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალტეტკებისათვის რეოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ეურადღება მიაქციეთ. (100—96)

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარისა ბ-ნ ვ. დ. ქართველიშვილის ხელოსნობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—6)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთ საგანტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები ეოგვლის „ხელისათვის"—25% ასოდ, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, განგურტები, რეგულები, ლაქი, კარანდაში, ბენზელი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა ხალები ატაკისათვის კლიონკები. ტახტები, საკარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რეულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბოლოხი, ქამრები, სარტულები. საუკეთური, ბრაბკები, საბრაბკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და ბატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—73)

ინგლისის მაღაზიაში

თმის - ამომუკანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—14)

მაკ - მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საბონი, დუნები და სხვ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

გამომცხვარი შური რესეთის ფქვილისა—	—1	₾.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: ბირველის სარისხისა—	—1	₾.	3 კ.
მეორისა— —	—1	₾.	2½
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
ბირველის სარისხის—	1	₾.	5 კ.
მეორისა —	—1	₾.	3½
მესამისა —	—1	₾.	3 კ.
ჯვარის-მამის შური:			
ბირველის სარის. ლავაში	1	₾.	5 კ.
მეორის სარის. ლავაში	1	₾.	4 კ.
მესამისა —	—1	₾.	3½
ძროხის ხორცი:			
ბირველის სარისხის—	1	₾.	9 კ.
მეორის —	—1	₾.	8 კ.
სუკი . . .	—1	₾.	16 კ.
ცხვრის ხორცი	—1	₾.	11 კ.
ღორის ღორცი:			
ბირველის სარისხის	—1	₾.	— კ.
მეორის —	—1	₾.	— კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(ამშაბათობით საჭარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ ⁄ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჭარო 7 ს. 53 წ. დამ.)

Дозв. цензур. Тифлисъ, 11 Апреля 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) *Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ძ. ართველიშვილი. **რედაქტორი** ი. მაჩაბელი.